

ქალების ეკონომიკური არააქტიურობა საქართველოში

გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური მხარე ხშირად ქალებისთვის დასაქმების არათანაბარ ხელმისაწვდომობაში ვლინდება. საქართველოში შრომის ბაზარზე ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ამ გენდერული უთანასწორობის ძირეულ მიზეზს ზრუნვის შრომისა და ოჯახში პასუხისმგებლობების არაპროპორციული განაწილება და ასევე სისტემური უმუშევრობა წარმოადგენს. ეს საკითხები კიდევ უფრო გამწვავდა კოვიდ 19-ის პანდემიის დროს.

უმუშევრობა და ეკონომიკური (არა)აქტიურობა


ქალების ეკონომიკური სტატუსის განხილვისას მნიშვნელოვანია სამი ძირითადი გარემოების: ეკონომიკური აქტიურობის, ეკონომიკური არააქტიურობის და უმუშევრობის გათვალისწინება.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა განისაზღვრება, როგორც იმ ადამიანთა ერთობლიობა, ვინც დასაქმებულია ან ამჟამად დაუსაქმებელია, თუმცა ახლო წარსულში აქტიურად ეძებდა სამსახურს. **ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა** კი გულისხმობს სამუშაო ასაკის ადამიანებს (15 წლის და მეტის), ვინც არც დასაქმებულია და არც ახლო წარსულში უძებნია სამსახური.¹

საქართველოში ქალები 22 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებიან კაცებს ეკონომიკური აქტიურობის თვალსაზრისით (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1

ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა საქართველოში (პროცენტი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020ა.

უმუშევრობა განისაზღვრება, როგორც მდგომარეობა, როცა სამუშაო ასაკის პირი (15 წლის ან მეტის) დასაქმებული არ არის, თუმცა, აქტიურად მაგრამ წარუმატებლად ეძებდა სამსახურს ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში.² ამ განსაზღვრების მიხედვით, ადამიანები, ვინც არ მუშაობენ, მაგრამ არც სურთ მუშაობა ან ბოლო პერიოდში არ ეძებდნენ სამსახურს, უმუშევრებად არ ითვლებიან.


მოცემული განსაზღვრებით, საქართველოში ქალები მცირედით უფრო ნაკლები ალბათობით არიან უმუშევრები, ვიდრე კაცები. უმუშევრობის დონე კაცების შემთხვევაში ოთხი პროცენტით მეტია, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი - 15.6 პროცენტით უფრო მეტი, ვიდრე ქალების შემთხვევაში (გრაფიკი 2).



2020 წელს უმუშევრობის საერთო დონე 18.5 პროცენტი იყო: 16.2 პროცენტი ქალების შემთხვევაში და 20.2 პროცენტი კაცების შემთხვევაში.³ (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 8.5.2).

გრაფიკი 2

დასაქმებისა და უმუშევრობის დონე საქართველოში, 2020



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020ა.

ქალების ეკონომიკური აქტიურობის/ არააქტიურობის მიზეზები და შედეგები


ის ფაქტი, რომ საქართველოში როგორც უმუშევართა, ასევე დასაქმებულთა მაჩვენებლებით კაცების წილი უფრო მაღალია ვიდრე ქალების, იქიდან გამომდინარეობს, რომ სამუშაო ასაკის (15+) ქალების დიდი ნაწილი ეკონომიკურად არააქტიურად მიიჩნევა. ეკონომიკურ აქტიურობაში გენდერული განსხვავება რიგი ფაქტორების ერთობლიობის შედეგია.

პირველი - ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მაღალია (77.7, 69.1-თან შედარებით).⁴ შესაბამისად, ქვეყანაში უფროსი ასაკის კაცზე მეტი ქალი ცხოვრობს. სამუშაო ასაკს ზედა ზღვარი არ აქვს. შედეგად, უფრო მეტი ქალი მიიჩნევა სამუშაო ასაკის მქონედ, ვიდრე კაცი (ეს სხვაობა 2020 წელს 167 800 იყო).⁵

მეორე - საქართველოს კანონმდებლობით, საპენსიო ასაკი ქალებისთვის უფრო დაბალია, ვიდრე კაცებისთვის (60 წელი ქალებისთვის და 65 კაცებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი მუშაობას საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც აგრძელებს, ბევრია ისეთი, ვინც პენსიაზე კანონმდებლობით განსაზღვრულ დროს გადის. შედეგად, კაცებთან შედარებით, მეტია ქალი, ვინც 60 წელზე უფროსი ასაკისაა, არც დასაქმებულია და არც სამსახურს ეძებს.

მესამე - არაანაზღაურებადი სახლის საქმე და ზრუნვის შრომა ქალებს სამუშაო ბაზარზე მონაწილეობის მოტივაციას უკარგავს.⁶ გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2018 წლის კვლევის მონაცემებით, ქალები სამჯერ უფრო მეტ დროს უთმობენ საოჯახო საქმეებსა და ზრუნვის შრომას, ვიდრე კაცები. ამასთან, დასაქმების შემთხვევაში ეს მოცემულობა დიდად არ იცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალებისთვის სახლს გარეთ მუშაობა მეორე სამსახურის დაწყებას უტოლდება (გრაფიკი 3).


გრაფიკი 3
სახლის საქმეზე და ზრუნვის შრომაზე დახარჯული საათების რაოდენობა კვირაში, სქესისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით



ეს იმაშიც გამოიხატება, რომ, საქართველოში ქალების დაახლოებით ნახევრის თქმით, არაანაზღაურებადი სახლის საქმე და ავადმყოფების, მოხუცებისა და ბავშვების მოვლის პასუხისმგებლობა მათი უმუშევრობის მთავარი მიზეზია.⁷ ოჯახში ბავშვების ყოფნა ასოცირდება შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის მნიშვნელოვან შემცირებასთან.⁸

ეს ტენდენცია შრომის ბაზარზე მონაწილეობის მონაცემებშიც ვლინდება, თუ მონაცემებს ასაკისა და სქესის ჯრილს დავაკვირდებით (გრაფიკი 4). საქართველოში რეპროდუქციული ასაკის ქალები (18-45 წლის) მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ალბათობით არიან ეკონომიკურ აქტიურობაში ჩართული. ქალებსა და კაცებს შორის შრომის ბაზარზე მონაწილეობის ყველაზე დიდი სხვაობა 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია, იმ პერიოდში, როცა ქალები განსაკუთრებით მაღალი ალბათობით ბავშვებს აჩენენ. მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში ეს სხვაობა მცირდება იქამდე, სანამ ქალები უფროს ასაკობრივ ჯგუფს მიაღწევენ, სადაც ქალებსა და კაცებს შორის შრომის ბაზარზე მონაწილეობის სხვაობა კვლავ მცირედით იზრდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი მაღალი ალბათობით ქალების საპენსიო ასაკის შედარებით დაბალი ზღვართან აიხსნება.

გრაფიკი 4
სამუშაო ბაზარზე მონაწილეობის დონე სქესისა და ასაკის მიხედვით (პროცენტი) და შესაბამისი გენდერული სხვაობა (პროცენტული პუნქტი)



ახალშობილთა მოვლის უთანასწორო ტვირთი ქალების ეკონომიკურ აქტიურობას კიდევ უფრო აფერხებს. თუკი ადამიანები სამუშაო ბაზარს დიდი ხნით ეთიშებიან, მათი უნარები მოძველებული ხდება და მომავალში მათ დასაქმებას ართულებს. გრძელვადიანი ეკონომიკური არააქტიურობა, ქალებისთვის ბავშვის გაჩენის შემდეგ

შრომის ბაზარზე დაბრუნების ხელშემწყობი სპეციალური პროგრამების არარსებობის პირობებში, ქალების ხელახალი დასაქმების შანსებს ამცირებს.


აღსანიშნავია, რომ კოვიდ 19-ის პანდემიამ მანამდე არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო გაამწვავა. ჯერ კიდევ პანდემიის დასაწყისში ქალების 42 პროცენტი აცხადებდა, რომ უფრო მეტ დროს უთმობს მინიმუმ ერთ დამატებით საშინაო საქმეს, მაშინ, როცა იგივე კაცების მხოლოდ 35-მა პროცენტმა აღნიშნა.⁹ ამასთან, კაცებთან შედარებით, ნაკლები ქალი მიუთითებდა, რომ მათ პარტნიორს მეტი წვლილი შეაქვს სახლის საქმეში.¹⁰ შესაძლოა სწორედ, სახლის საქმეებით გადატვირთვა გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, პანდემიის დროს ქალები არაპროპორციულად უფრო მაღალი ალბათობით შეამცირეს, ან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს.¹¹ დასაქმებულთა შორის, ვინც 2020 წლის ივნისამდე მოყვა შემცირებაში, ორ მესამედს (66 პროცენტს) ქალები შეადგენენ. მომდევნო პერიოდში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუარესდა: შემცირებებში მოყოლილთა სამი მეოთხედი (75 პროცენტი) ქალები იყვნენ.¹²



მეოთხე - გენდერული სხვაობა შრომის ანაზღაურებაში ქალებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის მოტივაციას უკარგავს. დაბალ-ანაზღაურებადი სამსახური და მწირი ფინანსური სარგებელი, რაც ანაზღაურების გენდერულ სხვაობაშიც აისახება, მათ დასაქმებისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი ამბობს, რომ უმუშევრობის ან სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი არასაკმარისი ანაზღაურებაა.¹³ ქალების შემთხვევაში, დასაქმების სტატუსი უსაფრთხო და ადეკვატური ანაზღაურების გარანტიას არ წარმოადგენს. მაგალითად, დროის სიმცირის გამო ქალები ხშირად სრულ განაკვეთზე დასაქმებულები არ არიან (ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ მაშინაც კი, როცა სრულ განაკვეთზე მუშაობა სურთ), ან სულაც შენიღბულ უმუშევრობაში იმყოფებიან (აქვთ სამსახური, რომელსაც მათთვის სარგებელი არ მოაქვს). ასეთი დაბალკვალიფიციური და ცუდად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, ბავშვთა მოვლის ხარისხიანი და უფასო სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობის ფონზე, ქალებს უბიძგებს, უარი თქვან ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვაზე. ამ მიზეზების მიხედვით, ქალებსა და კაცებს ღირსეული მინიმალური ხელფასი და შემოსავლის გამომუშავების თანასწორი შესაძლებლობები რომ ჰქონდეთ, ქალების ეკონომიკური აქტივობის დონე უფრო მაღალი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყებამდე გენდერული სახელფასო სხვაობა ზრდის ტენდენციას აჩვენებდა. 2018-სა და 2019 წლებს შორის ქალების საათობრივი ანაზღაურება, საშუალოდ, 0.30 ლარით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, კაცების შემთხვევაში საათობრივი ანაზღაურების

0.50-ლარიანი ზრდა დაფიქსირდა (გრაფიკი 5). ეს კაცების ყოველთვიური შემოსავლის 81 ლარით (6.3 პროცენტით) გაზრდაშიც გამოიხატა მაშინ, როცა ქალების ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ 46 ლარით (5.6 პროცენტით) გაიზარდა.¹⁴

გრაფიკი 5
დასაქმებული ქალებისა და კაცების საშუალო საათობრივი შემოსავალი (მდგრადი განვითარების ინდიკატორი 8.5.1)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

ძირითადი დასკვნები

ქალები გაცილებით ნაკლები ალბათობით არიან დასაქმებულები ან ცდილობენ დასაქმებას, ვიდრე კაცები. თავად ის ფაქტი, რომ ქალებში უმუშევრობის დონე კაცებთან შედარებით მხოლოდ მცირედით ნაკლებია, მათი ზოგადად დაბალი ეკონომიკური აქტივობის დონიდან გამომდინარეობს. ქალებსა და კაცებს შორის ეკონომიკური აქტიურობის დონეებში სხვაობას, სხვა საკითხებთან ერთად, შემდეგი ფაქტორებიც განაპირობებს: (ა) ქალები კაცებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ და უფროსი ასაკის ადამიანები უფრო ნაკლებად არიან დასაქმებულნი, ვიდრე ახალგაზრდები; (ბ) კაცებთან შედარებით, დაბალია ქალების ოფიციალური საპენსიო ასაკი; (გ) დიდია გენდერული სხვაობა არაანაზღაურებად სახლის საქმესა და ზრუნვის შრომის პასუხისმგებლობების გადანაწილებაში; და (დ) გენდერული სხვაობა ფიქსირდება შრომის ანაზღაურებაში. შესაბამისად, ისეთი სერვისების მიწოდებას, რაც არაანაზღაურებად საშინაო და ზრუნვის შრომის პასუხისმგებლობების გადანაწილებაში არსებულ გენდერულ სხვაობას შეამცირებს (როგორცაა მაგალითად, მოხუცების მოვლა, ბავშვების მოვლა, საბავშვო ბაღებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა), აქვს პოტენციალი, რომ ეკონომიკური აქტივობის კუთხით არსებული გენდერული სხვაობა შეამციროს. ამავე დროს, მინიმალური ხელფასის ზღვარის დაწესებამ, ისეთ დონეზე, რომელიც ეროვნულ გარემოებებს შეესაბამება და თანაბარი ღირებულების შრომისათვის მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურების უზრუნველყოფამ, გენდერული სხვაობა შეიძლება, დასაქმებამდე შეამციროს.



სკოლიო

- 1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 1982.
- 2 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2014.
- 3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020ა.
- 4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020ბ.
- 5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020ა.
- 6 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2018.
- 7 იქვე.

- 8 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი 2021.
- 9 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და CRRC 2020.
- 10 იქვე.
- 11 მსოფლიო ბანკი 2021.
- 12 იქვე.
- 13 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2018.
- 14 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2021.

წყაროები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა 2018-2019“.

_____, 2020ა. „სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზა“. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/130/labour-force-survey-databases>.

_____, 2020ბ. „მოსახლეობისა და დემოგრაფიის მონაცემთა ბაზა.“ ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/320/deaths>.

ILO (International Labour Organization). 1982. Resolution concerning statistics of the economically active population, employment, unemployment and underemployment. Geneva: ILO. https://www.ilo.org/global/statistics-and-databases/standards-and-guidelines/resolutions-adopted-by-international-conferences-of-labour-statisticians/WCMS_087481/lang-en/index.htm.

_____, 2014. Report of the Conference: 19th International Conference of Labour Statisticians. Geneva: ILO. https://www.ilo.org/stat/Publications/WCMS_234124/lang-en/index.htm.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2018. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში: მიზეზები და შედეგები. თბილისი, გაეროს

ქალთა ორგანიზაცია და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/12/womens-economic-inactivity-and-engagement-in-the-informal-sector-in-georgia>.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და კავკასიის კვლევით რესურსების ცენტრი, საქართველოში კოვიდ 19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/08/rapid-gender-assessment-of-the-covid-19-situation-in-georgia>

_____, 2021. ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი, საქართველო. თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022_02/Country%20Gender%20Equality%20Profile%20of%20Georgia%202021%20%20GEO_final%20%283%29.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ბავშვები. საქართველო.

World Bank. 2021. Country Gender Assessment: Georgia. Washington, DC: World Bank. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/35366?locale-attribute=en>.